

## თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას

### აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

- 1.1. **ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი; ევროპული ადმინისტრაციული სამართალი; განათლების სამართალი; სამართლის საფუძვლები - ასოცირებული პროფესორი.**
- 1.2. **სამგანზომილებიანი ხელოვნება და ინსტალაცია - პროფესორი.**
- 1.3. **ფერწერა - პროფესორი.**

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი; ევროპული ადმინისტრაციული სამართალი; განათლების სამართალი; სამართლის საფუძვლების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 7 წლის გამოცდილება, ასევე:

- ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, საპროცესო დოკუმენტაციის მომზადებისა და სასამართლო პროცესებზე წარმომადგენლობის გამოცდილება;
- ადმინისტრაციული სამართლის, ევროპული ადმინისტრაციული სამართლის, განათლების სამართლის მიმართულებით კვლევებში, ასევე პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;
- პუბლიკაციები ადმინისტრაციულ სამართალში, ევროპულ ადმინისტრაციულ სამართალში, ასევე განათლების სამართალში;
- ინგლისური ენის ცოდნა.

უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს:

- საკონსულტაციო გამოცდილებით;
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული იურიდიული განათლებით.

2.2 პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **სამგანზომილებიანი ხელოვნება და ინსტალაციის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება და ასევე:

- შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებში მიღებულ განათლებას და მუშაობის გამოცდილებას.

2.3. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ფერნერის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება და ასევე:

- შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მინიმუმ 8 წლიანი გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებში მიღებულ ცოდნასა და მუშაობის გამოცდილებას.

3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, განხორციელებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. განცხადებების მიღება იწარმოებს **2021 წლის 3 დეკემბრიდან - 2021 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით.**

5. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 5.1. ბიოგრაფია (CV);
- 5.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 5.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 5.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 5.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 5.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი -

**<https://form.jotform.com/213043951486457>**

7. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2021 წლის 7 დეკემბრიდან - 2021 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2021 წლის 11 დეკემბრიდან - 2021 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით**.

9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

**10. საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსი

ვებ-გვერდი: [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@freeuni.edu.ge](mailto:Vacancy@freeuni.edu.ge)